დანართი №1

შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2024-2030)

პრეამბულა

შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი ორ ათეულ წელზე მეტია ფუნქციონირებს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და მისი ათასობით კურსდამთავრებული ქვეყნის წარმატებული მოქალაქეა.
სკოლა ფუნქციონირებს ქუთაისში და გამოირჩევა მაღალი რეიტინგით.
წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას (2024-2030) და განსაზღვრავს სკოლის სტრატეგიულ მიმართულებებს მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში.
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ხედვიდან და წარმოადგენს დროში განსაზღვრულ მიზნებს, ამ მიზნების მიღწევის საშუალებების მითითებით.
სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: სტრატეგიის დასაბუთებას - გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზს, SWOT მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით; სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც მიმართულია სკოლის მისიისა და ხედვის განხორციელებისკენ და არის მიღწევადი შვიდი წლის განმავლობაში; სტრატეგიულ ამოცანებს; ამოცანების შესრულების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.

სკოლას გააჩნია სათანადო რესურსები რათა განახორციელოს სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები. სტრატეგიული გეგმა ასევე გულისხმობს სკოლის ხელთ არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას. სკოლის განვითარების პოლიტიკა უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასაც. შესაბამისად, სკოლის მისია , ხედვა და სტრატეგია ასევე, ეხმიანება პროფესიული განათლების ეროვნულ პოლიტიკას.
სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების საფუძველი
სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის ,,მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის 02/101 ბრძანებით.

SWOT ანალიზი

S - ძლიერი მხარე	W - სუსტი მხარე
➢ უსაფრთხო სასკოლო-სასწავლო გარემო; ➢ სკოლის თანამედროვე ინფრასტრუქტურა (მათ შორის, საბუნებისმეტყველო (STEM) და რეალურ - ვირტუალური ლაბორატორიები); ➢ თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები, სკოლებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, როგორც ადგილობრივ, ასევე. საერთაშორისო (აშშ, გერმანია, ინგლისი, პოლონეთი, უკრაინა) დონეზე; ➢ განხორციელებული ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები. მათ შორის, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში, პროექტებსა და კონფერენციებში პედაგოგთა და მოსწავლეთა მნიშვნელოვანი წარმატებები; ➢ ამერიკის შეერთებული შტატების College Board-ის ავტორიზებული წევრი; ➢ ADVANCED აკრედიტაცია და მოწავლეებისათვის დამატებით ამერიკის საშუალო სკოლის დიპლომის მიღების შესაძლებლობა; ➢ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული ინგლისურენოვანი პროგრამა; ➢ უცხო ენების გაძლიერებული სწავლება (ინგლისური ენა, გერმანული ენა); ➢ საერთაშორისო გამოცდებში მონაწილეობა (PSAT; SAT ; APSubjects; IB TOEFL/IELTS.) ➢ კვალიფიციური ადამიანური რესურსი; ➢ წარმატებული კურსდამთავრებულები; სკოლის Alumni ფონდის არსებობა და მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში;	➢ მშობელთა ნაკლები ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში; ➢ გამოწვევა მასწავლებლების მოზიდვასთან დაკავშირებით;

➢ არაფორმალური განათლების ფარგლებში არსებული კლუბები და განხორციელებული პროექტები;	
O- შესაძლებლობა	**T - საფრთხე**
➢ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობა (იტალიისა და საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულეებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა); ➢ ახალი ინფრასტუქტურული პროექტების განხორციელება; ➢ ზოგადსაგანმაანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები; ➢ სახელმწიფოს პოლიტიკა ზოგადსაგანმაანთლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების დანერგვის თაობაზე; ➢ სამიზნე რეგიონში (იმერეთი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან გამომდინარე, კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის გაზრდა; ➢ კერძო სამართლის იურიდიული პირების ვაუჩერული დაფინასება პროფესიული განათლების მიმართულებით.	➢ არასტაბილური სოციალური და ეკონომიკური გარემო. ➢ ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ცვლილებები; ➢ რეგიონში ინგლისურენოვანი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; ➢ ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;

სტრატეგიული მიზნები
შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სტრატეგიული განვითარების მიზნებია: 1. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და განხორციელების ხარისხის გაუმჯობესება 2. სკოლის ორგანიზაციული მართვის და რესურსების განვითარება 3. სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე 4. მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება 5. სკოლის ცნობადობის ამაღლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე 6. პროფესიული და უწყვეტი განათლების მიწოდება
დამატებითი ინფორმაცია - II - V მიზნები თანაბრად ეხება სკოლის საქმიანობას ზოგადსაგანმანთლებლო და პროფესიული განთლების მიმართულებით. I მიზანი მიემართება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებო მიმართულებით, ხოლო VI მიზანი მიემართება . პროფესიული საგანმანათლებლო მიმართულებითა და სკოლამდელი განათლების მიმართულებით საქმიანობას.

შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024-2030)

სტრატეგიული მიზანი N1. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და განხორციელების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სუბიექტი
	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030		
1.1. არსებული პროგრამების (საგნობრივი პროგრამა/კურიკულუმი) უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა								შეფასების შედეგების საფუძველზე განახლებული პროგრამების რაოდენობის მაჩვენებელი	აღმასრულებელი დირექტორი
1.2 არსებული საერთაშორისოდ აკრედიტებული უცხოენოვანი პროგრამის (Cognia) ხელახალი აკრედიტაციის უზრუნველყოფა								აკრედიტებული პროგრამა (Cognia)	აღმასრულებელი დირექტორი
1.3 ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება								1. ახალი უცხოენოვანი პროგრამების, მათ შორის, ერთობლივი პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებელი (გერმანიის საელჩოს პროექტში(გერმანული ენის სადიპლომო სკოლა Deutsche Sprachdiplom) განაცხადის გაკეთება და Sprachdiplom-ის გაცემის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. ერთობლივ პროგრამებში მონაწილე მოსწავლეთა სტატისტიკური მაჩვენებელი 3. თანამშრომლობა ჩრდილოეთ ცენტრალური ასოციაციის კომისიას NCA CASI), ჩრდილოდასავლური აკრედიტაციის კომისიასა(NWAC) და ლი სკოლებისა და კოლეჯების კომისიის ასოციაციასთან (SACS CASI) (ამჟამად, წოდებული როგორც Cognia Accreditation;	აღმასრულებელი დირექტორი

1. 4. სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა								1.მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევის შედეგები 2. კვლევის შედეგების გათვალისწინებით ტრენინგ - კურსების შემუშავება და მასწავლებელთა გადამზადება ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ტრენერების მიერ სწავლებასა და შეფასებაში 3. კვლევის შედეგების საფუძველზე საგნობრივი კათედრების განახლებული სასწავლო და სამოქმედო გემები 4. სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენების მზარდი დინამიკა 5. ყოველწლიურად მასწავლებელთა ან მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი კონფერენციის ორგანიზება და გამოცდილების გაზიარება	აღმასრულებელი დირექტორი
1.5 საბუნებისმეტყველო (STEM) და ტექნოლოგიების მიმართულებებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესება								1. ახალი IT ლაბორატორიები 2. STEM და IT მიმართულებით ორგანიზებული შიდა ოლიმპიადების სტატისტიკის მზარდი მაჩვენებელი 3. STEM და IT მიმართულებით ორგანიზებული გარე ოლიმპიადების სტატისტიკის მზარდი მაჩვენებელი 2. შიდა და რეგიონულ ოლიმპიადებში ჩართულ მოსწავლეთა სტატისტიკის მზარდი მაჩვენებელი 3. მოსწავლეთა წარმატებების სტატისტიკა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ოლიმპიადებში, სასწავლო - შემოქმედებით კონფერენციებში, კონკურსებში	აღმასრულებელი დირექტორი
1.6 პროგრესის სკოლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება უცხო ენების (ინგლისური ენა, გერმანული ენა) სწავლების მიმართულებით								1. ორგანიზებული შიდა ოლიმპიადების სტატისტიკა 2. შიდა ოლიმპიადებში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი 3. მოსწავლეთა წარმატებების სტატისტიკა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ოლიმპიადებში, სასწავლო - შემოქმედებით კონფერენციებში, კონკურსებში	აღმასრულებელი დირექტორი

1.7 სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა								1.მოსწავლეთა ყოველწლიური მზარდი აკადემიური მაჩვენებელი 2.მასწავლებელთა ყოველწლიური შეფასების მზარდი მაჩვენებელი (მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგებით) 3. პროგრამების შეფასების პროგრესულად გაუმჯობესებული მაჩვენებელი 4. სკოლაში ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 5. უსდ-ში ჩარიცხული, მ.შ. გრანტის მფლობელი კურსდამთავრებულების მაჩვენებელი 6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 7. კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის დამადასტურებელი მტკიცებულებები	ხარისხის მართვის სამსახური
1.8 ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა								1. ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი სერვისების სპექტრის გაფართოება 2. გადამზადებული სპეციალისტების რაოდენობა 3. სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული სსსმ მოსწავლეთა სტატისტიკური მაჩვენებელი	აღმასრულებელი დირექტორი

სტრატეგიული მიზანი N2. სკოლის ორგანიზაციული მართვისა და რესურსების განვითარება

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სუბიექტი
	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030		
2.1. დასაქმებულთა სამოტივაციო პოლიტიკის გაუმჯობესება								თანამშრომელთა განახლებული სამოტივაციო პოლიტიკა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
								1. პერსონალის კმაყოფილების მზარდი დინამიკა (კვლევებით დადასტურებული) 2. კვლევების საფუძველზე მართვის პროცესების გასაუმჯობესებელი რეკომენდაციები 3. პერსონალის წახალისების მიზნით განხორციელებული აქტივობების (შიდა და გარე სამოტივაციო) მტკიცებულებები	

2.2. სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების კვალიფიციური ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა								1. კვალიფიციური კადრების, მათ შორის, ინგლისურენოვანი კადრების, მოზიდვის მიზნით გამოყენებული მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხები 2. შერჩევის თანამედროვე მეთოდების დანერგვის მტკიცებულებები 3. გამოცხადებული ვაკანსიების მტკიცებულებები; კონკურსის მასალები 4. ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში შემოყვანილი მაღალკვალიფიციური კადრების სტატისტიკა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
2.3. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება								1. პერსონალის შეფასების შედეგები 2. პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები 3. პერსონალის საჭიროებათა კვლევის შედეგები 4. პერსონალის განვითარების გეგმები, შეფასებისა და საჭიროებათა ანალიზის შესაბამისად 5. პროფესიული განვითარების გეგმის შესაბამისად გადამზადებული თანამშრომლების სტატისტიკის მზარდი დინამიკა 6. პერსონალის კარიერული ზრდის მტკიცებულებები	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
								პერსონალის შეფასების მეთოდოლოგიის განვითარება ან ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა	

2.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა								1. უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის საკითხთან მიმართებით მშობელთა ასოციაციის გაძლიერებისა და სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მტკიცებულებები 2. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები 3. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მართვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მტკიცებულებები 4. უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ახალი კვალიფიციური რესურსის დამატების მტკიცებულებები 5. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესების მტკიცებულებები	საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სამსახური
2.5.მატერიალური რესურსების განვითარება								1. ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მტკიცებულება 2. განახლებული სასწავლო გარემოები და აღჭურვილი შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზები 3. განახლებული საგანმანათლებლო რესურსები	გენერალური დირექტორი
2.6.თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა								საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ეტაპობრივი დანერგვა	აღმასრულებელი დირექტორი
								HR Soft -ის ეტაპობრივი დანერგვა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
2.7. ხარისხის მართვის სისტემის განვითარება								1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, მექანიზმების გადამუშავების და დანერგვის მტკიცებულებები 2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, მექანიზმების გადამუშავების და დანერგვის მტკიცებულებები	ხარისხის მართვის სამსახური

								ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირების (ISO 9001-2015) მტკიცებულება	
2.8.სკოლის ორგანიზაციული მართვის განვითარება								სკოლის ორგანიზაციული მართვის განვითარების მტკიცებულებები	გენერალური დირექტორი
2.9.საფინანსო პოლიტიკის შემუშავება და განვითარება								1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის მტკიცებულებები, მათ შორის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიზნის მიღწევის შესაბამისად 2. ფინანსური კაპიტალის მზარდი დინამიკა 3. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პოლიტიკა 4. ფინანსური ანალიზის მტკიცებულებები, ფინანსური ანგარიშები	ფნანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორი

სტრატეგიული მიზანი N3. სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სუბიექტი
	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030		
3.1. ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა STEM აკადემიის გაძლიერება								გაფორმებული მემორანდუმები ან/და ხელშეკრულებები	აღმასრულებელი დირექტორი
3.2. პარტნიორობის გაძლიერება გოეთეს ინსტიტუტთან								გოეთეს ინსტიტუტთან საერთაშორისო გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით განახლებული მემორანდუმი	გენერალური დირექტორი
3.3. გაცვლითი პროგრამების არეალის გაფართოება								საზღვარგარეთის სკოლებთან გერმანია ინგლისი, პოლონეთი) ერთად) განხორციელებული გაცვლითი პროგრამები	გენერალური დირექტორი
3.4. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ერთობლივი ღონისძიებების მეშვეობით								უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივად ჩატარებული კონფერენციების და განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა; ანგარიშები,	აღმასრულებელი დირექტორი
3.6. თანამშრომლობის ჩამოყალიბება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან (კოლეჯი, უსდ, ზსდ), ეროვნულ დონეზე								მემორანდუმები/ხელშეკრულებები. თანამშრომლობის მტკიცებულებები	გენერალური დირექტორი

3.7. თანამშრომლობის ჩამოყალიბება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან საერთაშორისო დონეზე								მემორანდუმები/ხელშეკრულებები. თანამშრომლობის მტკიცებულებები	გენერალური დირექტორი
3.8. თანამშრომლობის ჩამოყალიბება შრომის ბაზარზე პოზიციონირებულ კომპანიებთან სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროგრამების განხორციელებასთან და პროფესიულ სტუდენტთა,მსმენელთა, კურსდამთავრებულთა დაკავშირებით								მემორანდუმები/ხელშეკრულებები. თანამშრომლობის მტკიცებულებები	გენერალური დირექტორი
3.9. სკოლასა და მესამე პირებს შორის ბიზნეს საქმიანობის დაგეგმა და განხორციელება								კვების, ტრანსპორტირების, სხვადასხვა სახის კლუბებისა და წრეების სერვისების დანერგვისა და განვითარების მტკიცებულებები	გენერალური დირექტორი
3.10.. სკოლასთან არსებული მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება პროფესიული განათლების მიმართულებით								სამართლებრივი დოკუმენტები	პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური

სტრატეგიული მიზანი N4. მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030		
4.1. ექსტრაკურიკულარული პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა								1. მოსწავლეთა/ მშობელთა ინტერესების კვლევის დამადასტურებელი მტკიცებულებები; 2. სხვადასხვა კლუბის/წრის დამატება, რაც დასტურდება კლუბების/წრეების პროგრამები და საქმიანობის, მიღწევების მტკიცებულებები. 3. ექსტრაკურიკულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები	ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახური
								1. პროფესიულ სტუდენტთა/ მსმენელთა ინტერესების კვლევის დამადასტურებელი მტკიცებულებები; 2. სხვადასხვა კლუბის/წრის დამატება, რაც დასტურდება კლუბების/წრეების დებულებებითა და საქმიანობის, მიღწევების მტკიცებულებები. 3. ექსტრაკურიკულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები	

4.2. მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა სწავლების ხარისხითა და სასწავლო გარემოთი								კვლევის მეთოდოლოგია; კვლევის შედეგების მიხედვით, კმაყოფილების მზარდი დინამიკა	ხარისხის მართვის სამსახური
4.3. Alumni ფონდის გაძლიერება								1. ფონდის დებულება: 2. ფონდში გაწევრიანებულთა მზარდი დინამიკა; 3. ფონდის საქმიანობის მტკიცებულებები; 4. სკოლის კურსდამთავრებულთა სკოლაში დასაქმების პოლიტიკა	გენერალური დირექტორი
4.4. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა								1. კურსდამთავრებულთა დასაქმების მზარდი სტატისტიკა უნარების შესაბამისად; 2. დასაქმების სააგენტოებთან (სახელმწიფო და კერძო) გაფორმებული მემორანდუმები 3. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა საკომუნიკაციო პორტალის ჩამოყალიბება 4. პროფესიულ სტუდენტებისთვის ყოველწლიურად სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის განხორციელებული პროექტები	პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური
								მოსწავლეთა პროფორიენტაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	აღმასრულებელი დირექტორი
								სკოლის მიერ დაფინანსებული/თანადაფინანსებული პროექტები/პროგრამები/კონკურსები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე	ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახური

სტრატეგიული მიზანი N5. სკოლის ცნობადობის ამაღლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

ამოცანა	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სუბიექტი**
	2024	**2025**	**2026**	**2027**	**2028**	**2029**	**2030**		
5.1 სკოლის ბრენდის ცნობადობის, იმიჯისა და რეპუტაციის ზრდა								1. ბრენდის ცნობადობის დონის მაჩვენებელი; 2. გამომწერების რაოდენობის მაჩვენებელი 3. მედია დაფარვის მაჩვენებელი 4.ბიზნეს რეიტინგების მაჩვენებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

5.2 სკოლის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება								1. საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის მაჩვენებელი 2.. საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის რაოდენობის მაჩვენებელი 3. განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მაჩვენებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური
სტრატეგიული მიზანი N6. პროფესიული და უწყვეტი განათლების მიწოდება									
ამოცანა	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სუბიექტი**
	2024	**2025**	**2026**	**2027**	**2028**	**2029**	**2030**		
6.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება								მინიმუმ ორი პროგრამის განხორციელების უფლება	სამუშაო ჯგუფი
6. 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა								მინიმუმ ორი პროგრამის განხორციელების დაწყება	სამუშაო ჯგუფი
6.3. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით (კოოპერაციული, დუალური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება და დანერგვა								ეტაპობრივად მინიმუმ ოთხი პროგრამის დამატება	პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური
6.4.სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა, შრომის ბაზარზე უნარებზე მოთხოვნების გათვალისწინებით								მინიმუმ ხუთი პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა	პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური
6.5. საქართველოში ავტორიზებულ დაწესებულებასთან ერთად ერთობლივად შემუშავებული პროგრამის დანერგვა								მინიმუმ ერთი პროგრამის შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება	პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური
6.6. ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის დანერგვა								მინიმუმ ერთი პროგრამის შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება	პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური
6.7.უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მიზნით, არაფორმალური ტრენინგ- კურსების (მოკლევადიანი პროგრამები) განხორციელება								მინიმუმ 10 არაფორმალური ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამები) განხორციელება	პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური
6.8. სკოლამდელი განათლების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება								სასკოლო მზაობისა და სკოლამდელი განათლების აკრედიტებული პროგრამა	აღმასრულებელი დირექტორი